

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას **სპეციალიზებული ჯგუფებისა და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტის კორპორაციული მართვისა და საზედამხედველო პოლიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.**

სებ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ინსტიტუტია. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი FSAP შეფასების მიხედვით, სებ-ის საზედამხედველო პრაქტიკა მაღალი ხარისხით შეესაბამება საერთაშორისო საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს და, რიგ საკითხებში, მისი ინოვაციური მიდგომები მაგალითს წარმოადგენს განვითარებული ქვეყნებისთვისაც. მისი თანახმად, შთამბეჭდავია ზედამხედველების კვალიფიკაცია. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომ ფინანსური სექტორის ზედამხედველობა ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი სფეროა. საერთაშორისო დონეზე მიმდინარეობს ახალი საზედამხედველო ჩარჩოს შემუშავება რომელშიც სებ-ის თანამშრომლებიც, ბაზელის საკონსულტაციო კომიტეტის მეშვეობით, ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას.

**სამუშაოს სპეციფიკა:** პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის, შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

#### **მოვალეობები:**

- საზედამხედველო საუკეთესო პრაქტიკის ანალიზისა და კვლების ჩატარება, არსებული პრაქტიკის შესაძლო სამართლებრივი გაუმჯობესებების მიზნით;
- საბანკო ზედამხედველობის პრაქტიკის გაძლიერებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებებში მონაწილეობის მიღება და სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ბაზელ III-ის სტანდარტების დანერგვაში მონაწილეობის მიღება.
- კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის მოთხოვნების დანერგვაში მონაწილეობა;
- კონსოლიდირებული ზედამხედველობის დანერგვაში მონაწილეობის მიღება;
- კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შემენის მსურველ პირზე ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, დეკლარაციის განხილვა, მნიშვნელოვანი წილის შესყიდვაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა;
- ლიცენზირებაზე განაცხადის შეფასების მიზნით, ლიცენზიის მაძიებელ პირებზე ინფორმაციის შეგროვება, ლიცენზირებასთან დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტების განხილვა და შესაბამისობის დადგენა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა;
- საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობის ანალიზი;
- ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული დირექტივების მოთხოვნების ანალიზში მონაწილეობის მიღება;

- არსებული საბანკო რეგულაციების ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ დირექტივებთან დაახლოების მიზნით, შესაბამისი ცვლილებათა პროექტების მომზადებაში მონაწილეობა.

#### **აუცილებელი მოთხოვნები:**

- განათლება: უმაღლესი (სასურველია მაგისტრის ხარისხი ეკონომიკურ სფეროში);
- მუშაობის გამოცდილება: საფინანსო სფეროში მუშაობის 2 წლის გამოცდილება;
- კომპიუტერული პროგრამები: MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად
- ე) უცხო ენები: ინგლისური ენა - B2; რუსული ენა - B1

**საკანონმდებლო ბაზა:** „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი წესები და ინსტრუქციები;

წერიტი დავალება გულისხმობს ტესტურ დავალებას, სადაც წარმოდგენილი იქნება ფინანსებთან, ეკონომიკასა და ზოგად უნარებთან დაკავშირებული კითხვები.

ტესტი არის 40 ქულიანი და მომდევნო ეტაპზე გადავლენ კანდიდატები, რომლებიც გადალახავენ 60%-იან ზღვარს.

#### **კომპეტენციები:**

- გარე ან/და შიდა მომხმარებელის მომსახურებაზე ორიენტირებულობა;
- წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადება;
- კრიტიკული აზროვნება;
- შედეგზე ორიენტაცია;
- დამოუკიდებლად მუშაობა;
- ინოვაციების ინიცირება და მართვა;
- მოქნილობა და ცვლილებებზე ადაპტურობა;
- ცოდნის მართვის და გაზიარების სისტემების დანერგვა და გამოყენება;
- სტრესის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა.

**თანამდებობრივი სარგო: 4141 ლარი (დარიცხული)**

#### **კონკურსის ფორმა:**

კონკურსი ჩატარდება ტესტირებისა და ინტერვიუს სახით.